კონკურსის „ფინანსური ასოციაციობანა“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია კონკურსანტი სკოლისა და კონკურსანტი მასწავლებლის შესახებ

მზია პირველი,

თბილისის #217 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ

კლასი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	მე-8 კლასელების დახმარებით მე-4 კლასში
აქტივობის აღწერა ***(200-1000 სიტყვა)*** ✓ *როგორ წარმართეთ აქტივობა?* ✓ *სამგიდო თამაშიდან რომელი მასალები გამოიყენეთ?* ✓ *რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განახორციელეთ იდეა აქტივობისთვის?* ✓ *რა დამატებითი მეთოდები/საშუალებები გამოიყენეთ აქტივობის მსვლელობისას?* ✓ *რა დრო დასჭირდა ჩატარებულ აქტივობას?*	აქტიურად ვთანამშრომლობ ფინედუსთან. მეორედ მყავდაა მოწვეული კლასში. გავიარე ხუთდღიანი ტრენინგი ეროვნულ ბანკში.მას შემდეგ, რაც ფინედუს წარმომადგენელი გვეწვია კლასში. მოსწავლეებში დიდი დაინტერესება გამოიწვია სამაგიდო თამაშმა ,,ფინანსური ასოციაციობანა.'' ვასწავლი დაწყებით კლასებსაც და მერვე კლასის მოსწავლეები ჩავრთე დაწყებით კლასებში ,,თანატოლ განმანათლებლის'' ფარგლებში. მეოთხე კლასის მოსწავლეები დიდი ხალისით სწავლობდნენ იმ ტერმინებს, რომლებსაც ,,ფინანსური ასოციაციობანა“ გვთავაზობდა. შევისწავლეთ ნაწარმოები ვალტერ ქაუერის ,,მეთევზე,“ სადაც ერთ-ერთმა პერსონაჟმა ,,ღიპიანმა კაცმა“ მეთევზეს შესთავაზა და აღუწერა გამდიდრების გზის იდეა, რომელსაც მეორე პერსონაჟი მეთევზე არ დათანხმდა. დისკუსიის დროს დავადგინეთ და გამოიკვეთა, რომ ,,ღიპიანი კაცის“ გეგმა არ გამოიყურებოდა არგუმენტირებულად და მომხიბვლელად, რადგან აკლდა დამაჯერებლობა, სანდოობა, ვინაიდან მეთევზისთვის არ იყო კონკრეტული გეგმა შეთავაზებული, რომელიც გამყარებული იქნებოდა რიცხვებით. მოვაწყვეთ დისკუსია, პრობლემის გადაჭრის გზად გამოვკვეთეთ ის, რომ: ✓ საჭირო იყო არგუმენტები, რომლებიც მეთევზეს კონკრეტული რიცხვებით დაანახებდა ბიზნესის სარგებელს და მოგებას; ✓ გააზრებინებდა ბუნებრივი რესურსების დაზოგვის სარგებელს გარემოსადმი; ✓ შესთავაზებდა ბიზნეს გეგმას, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ იქნებოდა გაწერილი; ✓ მოხდებოდა მოგებული თანხის რეფინანსირება და ბიზნესში ჩაბრუნება, ბიზნესის გაფართოების მიზნით; ✓ მეთევზეს შევთავაზეთ დაექირავებინა მუშახელი, შეეძინა ნავები და საჭირო ინვენტარი; ✓ დაჭერილი თევზი გაეყიდა ბაზარზე;

	✓ უკეთ გაყიდვის მიზნით, რეკლამა განეთავსებინა სოციალურ მედიაში, ტელევიზიებსა და სავაჭრო ცენტრების შესასვლელებში, სარეკლამო ბანერებზე. **მოსწავლეებს შევთავაზე კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება:** ,თუ ბევრ თევზს დავიჭერ, ტბაში თევზის ჭაჭანება არ იქნება,“ თქვა მეთევზემ. მოიფიქრე და შესთავაზე მეთევზეს ბიზნეს გეგმა, რომლის საშუალებითაც ის შეძლებს წარმატებული ბიზნესის აწყობას, ისე რომ დაზოგოს ბუნებრივ რესურსები და თვითონაც ნახოს ფინანსური სარგებელი. ისარგებლე ,,ფინედუს' და ,,საქართველოს ბანკის' მიერ მოწოდებული სამაგიდო თამაშით, ,,ფინანსური ასოციაციობანა'' და პრეზენტაციის დროს გამოიყენე კლასში, ,,თანატოლ განმანათლებლებთან“ ერთობლივად დამუშავებული ტერმინები, რომელიც აღნიშნულ სამაგიდო თამაშშია გამოყენებული. (უმჯობესია, გამოიყენო 3 და 4 ქულიანი სიტყვები) **საბოლოო პროდუქტი წარმოადგინე:** • პლაკატის, ციფრული რესურსის ან ბუკლეტის სახით; • ბიზნეს გეგმა გაწერე ნაბიჯებად; • მოიფიქრე რეკლამა, რომელსაც დაურთავ სლოგანს; • ყურადღება გაამახვილე ბუნებრივი რესურსების დაზოგვაზე; • პროდუქტი წარუდგინე კლასელებს; **წარდგენისას ისაუბრე:** • დათანხმდებოდა შენ მიერ შეთავაზებულ ბიზნეს გეგმას მეთევზე? რატომ ფიქრობ ასე? ჩატარებულ აქტივობებს დასჭირდა 7 სასწავლო დღე. სამი დღის განმავლობაში ჯგუფურად თამაშობდნენ ,,ფინანსურ ასოციაციობანას'' და გაიაზრეს სიტყვები/ტერმინები. 4 დღის განმავლობაში წარადგინეს პრეზენტაციები. პრეზენტაცია წარადგინა ყველა მოსწავლემ. (გვაქვს შესაბამისი ფოტო, ვიდეო მასალა, პლაკატები და ბუკლეტები)

<table>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td>შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ
(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)</td><td>
აღნიშნულმა აქტივობებმა დიდი ინტერესი და კარგი შედეგი გამოიწვია მოსწავლეებში. მოხდა საგანთშორის ინტეგრირება. ქართულის ტექსტმა მოგვცა საშუალება კონკრეტული რიცხობრივი გამოთვლები გვეწარმოებინა მათემატიკაში. მოსწავლეებმა დაიანგარიშეს მოგება, რომელსაც მიიღებდა მეთევზე, გააკეთეს ცხრილები, (მოახდინეს ნარატივის ტრანსფერი ცხრილში) რა თანხას როგორ დახარჯავდა, ბიზნესის გაფართოებისთვის. ბუნებისმეტყველებაში ყურადღება გაამახვილეს დაზოგვაზე, თუ როგორ მოახდენდნენ თევზსაშენის საშუალებით ტბაში თევზის შევსებას.
განუვითარდათ პრობლემის გადაჭრის და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარ-ჩვევები.
ეროვნულ სასწავლო გეგმაში დავფარეთ შემდეგი გამჭოლი კომპეტენციები:

მათემატიკური და რაოდენობრივი წიგნიერება;
ეკოლოგიური წიგნიერება;
ფინანსური წიგნიერება;
ეკონომიური წიგნიერება

პროექტის შეფასების კრიტერიუმები:
<table>
<tr><td></td><td>დამაკმაყოფილებელი</td><td>კარგი</td><td>საუკეთესო</td></tr>
<tr><td>პრეზენტაცია წარმოდგენილია პლაკატის, ციფრული რესურსის, ბუკლეტის სახით.</td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>
</td></tr>
</table>

	ბიზნეს გეგმა გაწერილია ნაბიჯებად.			
	მოფიქრებულია რეკლამა, რომელსაც თან ახლავს სლოგანი.			
	ყურადღება გაამახვილებულია ბუნებრივი რესურსების დაზოგვაზე.			
	ასაბუთებს დათანხმდებოდა თუ არა მის მიერ შეთავაზებულ ბიზნეს გეგმას მეთევზე.			
	გამოთქვამს მოსაზრებას,რატომ ფიქრობ ასე?			

დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების სახით მოსწავლეტა აბსოლიტურმა უმრავლესობამ შეძლო სოლო ტაქსონომიის მეხუთე დონის **გაფართოებულ აბსტრაქტულ** დონეზე საკითხისა და თემის დაძლევა.
აქტივობები წარიმართა ისეთი ხალისიტ რომ მომდევნო 2 გაკვეთილი დავუთმეთ თემას **„ჩემი ბიზნეს იდეა“.** წარმოადგინეს საოცარი ბიზნეს იდეები. **(გვაქვს შესაბამისი ვიდეო მასალები)**

ვიზუალური მასალა *(სავალდებულო წესით არ მოითხოვება და აღნიშნულით არ მოხდება შეფასება)*	გვაქვს განხორციელებული აქტივობების შესაბამისი ფოტო, ვიდეო, მასალა და პროდუქტები ბუკლეტებისა და პლაკატების სახით.